

## განმარტებითი ბარათი

### საქართველოს კანონის პროექტზე „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

წინამდებარე ცვლილებების მიღება გაპირობებულია მოქმედი კანონმდებლობით, რომლის თანახმადაც, აკრძალულია ძეგლის სტატუსის მქონე კულტურული ფასეულობების საქართველოდან გატანა.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

წინამდებარე ცვლილებები მიზნად ისახავს კულტურული ფასეულობების საქართველოდან გატანის ლიბერალიზაციას.

მოქმედი კანონით იმ კულტურული ფასეულობების გატანის მიმართ, რომლებიც საჯარო ინტერესის საგანს წარმოადგენს, აკრძალვა დაწესებულია მიუხედავად მათი მესაკუთრის ვინაობისა. ანუ კერძო საკუთრებაში არსებული ფასეულობები, რომლებიც კანონის მიერ დადგენილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ ისევე არ შეიძლება გატანილი იქნენ საქართველოდან, როგორც სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ფასეულობები. თანაც სახელმწიფო არანაირ ვალდებულებას არ იღებს ასეთი ფასეულობის მესაკუთრის წინაშე. საკითხისადმი ასეთი მიდგომა გაუმართლებელია, ხშირად ფასეულობის მესაკუთრეს, რომელმაც თუნდაც მემკვიდრეობით მიიღო ფასეულობა, შესაძლოა არანაირი ინტერესი, გარდა მატერიალურისა არ გააჩნდეს მის მიმართ და არც მისი შენახვის პირობები და საშუალება ჰქონდეს, სახელმწიფო კი უკრძლავს ფასეულობის გაყიდვას და სამაგიეროდ არაფერს სთავაზობს. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა დაწესდეს არა კულტურული ფასეულობების გატანის აკრძალვა, არამედ სახელმწიფოს უპირატესი შესყიდვის უფლება, რომლის გამოუყენებლობის შემთხვევაში მესაკუთრეს უფლება ექნება გაიტანოს ნივთი.

წარმოდგენილი პროექტით ასევე განისაზღვრება სახელმწიფო მუზეუმო ფონდებში, არქივებში, ბიბლიოთეკებში და კულტურული ფასეულობების დაცვის სხვა ანალოგიურ დაწესებულებებში დაცულ ფასეულობების, ექსპონატების, კოლექციებისა და მოძრავი ძეგლების საქართველოდან გატანის წესი, რაც მოქმედი კანონით იკრძალება. აღნიშნული ფასეულობების გაყდვის მიზნით გატანა დასაშვებია, მხოლოდ საქართველოს, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით და იმ პირობით, რომ მათი გაყიდვიდან შემოსული თანხა მოხმარდება, მხოლოდ სანაცვლო ტოლფასი ისტორიული, კულტურული და/ან მხატვრული ღირებულების მქონე ფასეულობების შექენას.

ამასთან კანონპროექტი ადგენს საქართველოდან გასაყიდად გასატანი კულტურული ფასეულობის სახელმწიფოს მიერ უპირატესი სეყიდვის უფლების რეალიზაციის წესსა და პირობებს.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის მიხედვით, ნებადართულია მომეტებული საჯარო ინტერესების მქონე კულტურული ფასეულობების (ძეგლის სტატუსის მქონე) კულტურული ფასეულობების საქართველოდან გატანა, რასაც მოქმედი კანონი კრძალავს.

##### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

##### ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება გავლენას ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, ვინაიდან კანონპროექტით გათვალისწინებული აუქციონის წესით რეალიზაცია, ორიენტირებულია კერძო მყდველებზე.

##### ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება**

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი:**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

წინამდებარე კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩვენი ქვეყნის წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

ეს კანონპროექტი არ მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:**  
ასეთი არ არსებობს.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი:**

კანონპროექტის ავტორია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:**

საქართველოს მთავრობა.